

# კ ვ ა ლ ი



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი, გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 13

მ ა რ ტ ი 23 1897 წ.

№ 13

შინაარსი: ორიოდ სიტყვა „დილარიანზე“ ა. ხანანაშვილისა. — პოლიტიკური პარტიები გერმანიაში, (შემდეგი) ნ. უ. იასი. — სხვა-დასხვა ამბები. — წერილი რედაქციის მიმართ. — ეკლესიის: კორესპონდენციები. — ცრემლი, დეჟნი ა. პავლიაშვილისა. — ვენა — კოსი. — წინასიტყვაობა „თუშურ სიმღერებისა“ — დ. ალბანელისა. — თუშური სიმღერები. — მ. წაი მფლოქი დობა აფხაზეთში, (შემდეგი) პ. ჭ. ასი. — პოლიტიკური ამბები. — ერთი კონა წერილები (ინგლისურიდან) ინგლისური ქალი მებღა. —

## № III „ჯეჯილისა“ გამოვიდა და დაურვიდა ხელის მოამწერლებს.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (დერაღი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (ვასაგზენი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

დიდარკეთს სარგის თმოგველს, მას ენა დაუშრომელს.

უკანასკნელი ტაგბა შოთას პოემაში საყურადღებო ცნობას გვაძლევს გამოჩენილი მწერლების შესახებ. იქ ვკითხულობთ:

ამიწან დატყუანას მე მისეს უქაზ ხონელს,  
ახდულ შესა შეთელს, ლექსი მას უქეს რომელსა,  
დიდარკეთს სარგის თმოგველს, მას ენა დაუშრომელსა  
ტრაქელ მისას რუსთველს, მისთვის ცრემელ შუქს-  
რობელსა.

ამ ტაგების აზრით გამოდის, რომ მოსე ხონელს დაუწერია „ამირან-დარეჯანიანი“, შეთელს „აბდულ მესია“ — აწ დაკარგული პოემა, რუსთველს — „ტარიელი“ და სარგის თმოგველს „დილარკეთიანი“. მაგრამ რადეანაც სხვა წყაროები ამ უკანასკნელ ნაშთს უწოდებენ აგრეთვე „დილარიანათ“, ამიტომ თემურაზ ბატონიშვილი ჰყოფს სიტყვას „დილარკეთს“ ორ ნაწილათ: „დილარ“ და „კეთ“. ამიტომ იგი კითხულობს ზემო მოყვანილ სტრიქონს შემდეგი სახით: „დილარ გეთ სარგის თმოგველს“ ესე

### ორიოდ სიტყვა „დილარიანზე“.



რთი ჩვენი მწერლობის ნაშთთაგანი — „დილარიანი“ ანუ „დილარკეთიანი“, ცნობილი შოთა რუსთველის დროს, აწ დაკარგულათ არის აღიარებული. თემურაზ ბატონიშვილის აზრით „დილარიანის“ ავტორი იყო — სარგის თმოგველი, რომლის შესახებ გეფხვის ტყაოსანში ვკითხულობთ: —

იგი „გეთი“ არის გვირი დაწვერისა, „სარკის“ — ხელი, „თმოგველი“ სამშობლო და „დილარ“ სახელწოდება იმ პოემისა, რომელიც თმოგველს დაუწერია. ასეთი ახსნა ეწინააღმდეგება ჩვენ ცნობებს და სხვათა შორის ანტონ კათოლიკოსის მოწმობას, რომელიც ამბობს, რომ გვირი თმოგველის პოემისა იწოდებოდა „დილარგეთად“. ევრკ ბროსსემ მოჰყვინა შეუი ამ ბნელს საკითხს და აქამდის გამოაუტყვევლია, რა დასწერა სარკის თმოგველმა და რა სათაურით გაავრცელდა მისი ნაშრომი ხალხში. თვით ნაწერის შესახებ არა ვიცით-რა, რადგანაც იგი დარკავა და მხოლოდ ამ საუკუნის დამდეგს აღადგინა (?) მისი შინაარსი პეტრე ლარაძემ. ეს აღდგენილი პოემა წარმოადგენს უხერხულ წაბამვას შოთას, ხონელიის და სხვათა მწერალთა და ამიტომ საჩუქრით მისაღები არ უნდა იყოს. საყურადღებოა, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ ერთ ხელ-ნაწერში 12 კარის მაგიერათ მოკცეულია 14 კარი. ეს ხელ-ნაწერი გადაწერილია 1776 წ. და დაკულია „წერაკთების საზოგადოებაში“. ორიოდვე თავის სათაური ოდნევე გვაგონებს დილარიანს. ვაჩა მეთერმოეტე: „ჯიმშერ ხაზართა მეფის დილარის შეილის ამბავი“. ვაჩა მეთ-ცამეტე: „ჯიმშერის შეილის ჯიმშერისა არ მოკლაჲ ბუკის ამბავი“. ჩვენც, როცა ეს შიგ ჩართული ამბავი წაიკითხეთ, გვეგონა „დილარიანის“ ნაწევებს მივაგენით-თქო. მაგრამ საწუხაროთ არცენით, არც წყობილებით ეს ჯიმშერის ამბავი მე- XII საუკ. მწერლის კალამს არ უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენ ექვს ეთანხმება ძველი ხელით მიწაწერი სიტყვებია, მე- XIII და მე- XIV თავებთან, შემო მოყვანილ ამირან დარეჯანიანის ხელ-ნაწერში: „ვინც სწრდით ამბავს ნუ დასწერთ წიგნის მთქმელისა არ არის, ვილასაც ცრუს ცრახინვალეელის კაცისაჲან არის ნალაყბი და მოკონილი“.

ს. ხასანაშვილი.

### პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

(გუ შინ და დღეს).

წერალი მეთერ \* )

პარტიათა გამოკრევა და პარტიათა ბრძოლა.

საგონად-ღმობრძალეობა.



ანის მეფე გადაიკვალა 1863 წ. ბისმარკმა ისარგებლა ამით და ავსტრიის დახმარებით დანაის ორი დიდი პროვინცია — შლეზვიგ-

პოლოტანი — წაართვა და ენის ხელ-შეკრულობით (30 ოქტომბერი 1864 წ.), ორივე მოკავშირეთა კუთვნილებათ შეირცხა. მათ დაუკითხავათ და ნება დაურთველათ მთავრობის ასეთი მოქმედება პრუსი ს დებუტატებმა უკანონოთ აღიარეს. ბისმარკმა 12 მილიონი სესხი მოთხოვა პარლამენტს ომის გამოსაცხადებლათ, რაც უარ-ყოფილ იქმნა. ომიანობის პოლიტიკის საწინააღმდეგოთ ხელს უშვარდელსობით გადაწყვიტეს (14 იანვარი 1865 წ.). შემვირდეს სამხედრო ხარჯი, გამოვარბესებულ იქმნას სწავლა-განათლებლის საქმე, სოფლის მასწავლებელთ ჯამაგირი მიემატოს და სხვ. ყველა ეს მთავრობამ უყურადღებოთ დატოვა. ბისმარკს თავისი-ეს უნდოდა შლევ-ეგ-პოლოტანი, ხოლო იძულებული შევიქმნა ავსტრიავთ თანამზიარეთ ეცო. ბისმარკ ახლა მარჯვე შემთხვევას ცქედა ავსტრიის დამარცხებისა და ნადელი პროვინციების პრუსიისათვის ამოგენისათვის. ეს კი უომრათ შეუძლებელი იყო. ბისმარკობა — ეს ომიანობაა. ის თავის მოწოდებას ასრულებს. დებუტატთა საკრებულო კი ყოველ-ღევე ზედ-შეტი ხარჯის, ს-სხლის-ღერის და ომის წინააღმდეგია. ამიტომ ის 26 იანვარს მთავრობამ დახურა და დებუტატთ გამოუტყდა: თქვენ-თქვენ სახლში მიბრძანდით და როცა დაეცა-თო, მარში მიბრძანდითო. პრუსიის ყველა ნაწილიდან მეფის სახელზე ურჩიცი ადრესები მოედა: თხოვედენ, ნუ დაარღვეეთ მშვიდობიანობას, ნუ გამოიწვეთ ძმათა ომს, სისხლის-ღერის მოსურნე სამინისტრო დაითხოვეთ და მშვიდობის მოყვარული კომიტეტი შეადგინეთო. რასაკვირველია ამან არ გაკრა. ოპოზიციამ გამოსცა პროკლამაცია, სადაც სხვათა შორის ეწერა: „მანამ ბიუჯეტზე დებუტატთა უფლებას სავსებით ცნობილი არ იქნება, მანამ არც ერთი სინილისს მექანე ლანდტაგი მთავრობის ბიუჯეტს არ დაამტკიცებს... რადგანაც ომი აუცილებლათ გახადეს, მთელი ჩვენი ძალ-ღონე იმას მოვანდომოთ, რომ ამ შემთხვევით ეისარგებლოთ გერმანიის გაერთიანებისათვის, თავისუფლების და ხალხთა უფლებების საუფქველზე, რისთვისაც ახალი კონსტიტუცია უნდა შევიწყო შევათათ“. აქ მთელი კითხვა ისევ საშინაო პოლიტიკას შეეხებოდა. მაწინააღმდეგენი კი ერთხმათ გაიძახოდენ: მთელი კითხვა საკარგო პოლიტიკისაგან არის დამოკიდებულდი, ამისათვის კი ძლიერი მთავრობა და მხედრობაა საჭიროეო. ატყდა ომი და მეფეს ვანცხადებაც გამოვიდა: შინაური პარტიობა ახლა უნდა დავიწყოთ და ასეთ კრიტიკულ დროს სამშობლოს და სახელის დასაცველათ ვეგლანი უნდა შევერბოდეთო. ის მოხდა; რაც უნდა მომხდარიყო. ოპოზიციას დადარკავა ნიადაგი და ხალხის თანაგრძნობა მთავრობით

\* ) ის. „გადა“ № 12.

საყენ ვადევიდა. როგორც კი პირველი აშმაგი მოვიდა პრუსიელთა გამარჯვებისა, წინათ ყოველთვის ოპოზიტაინულმა ბერლინმა ახლა მეფეს და ბისმარკს ეტაცებული ოჯახი ვადევიდა (29 ივნისს 1866 წ.). ავსტრია დამარცხდა და პრუსიაში მთელი საზოგადო აზრი სამინისტროს სასარგებლო შეიქმნა. იელისის არჩევანებზე ოპოზიციამ ნახევარი ალავი დაჰკარგა.

ამ ავსტრიის გაცხნა დეპუტატთა არა ჩვეულებრივი სხდომა. მთავრობამ მოითხოვა სამხედრო ვასაღლის ცნობა და ბიუჯეტის ერთთან და მიტაკიცება. კენჭისყრაზე გამოჩნდა, რომ ოპოზიცია გაიყო და ერთი ნაწილი მთავრობას მიემხრო. ბიუჯეტი დამტკიცებულ იქმნა.

პროგრესისტებმა და მოწინავე ლიბერალებმა, რომლებიც მთავრობას მიემხნენ და მით თავიანთ პროგრამას უღალატეს, გამოსცეს თავის გასამართლებელი პროკლამაცია, საიდანაც იწყება ნაკონალიზირებული ისტორია, აქ ვითხოვლობის: ჩვენი უმაღლესი მოვალეობა იყო მთავრობის საგარეო პოლიტიკისათვის სრული ნდობა გამოგვეცხადებოდა. ძლიერ-მოსილი ომი და გამარჯვება მიგვანანი ჩვენ პირველ სათავეთ გერმანიის ერთობისა. პრუსიის საზღვრების გაფართოვება და ჩრდილო ნაწილის შემაერთება ჩვენ აუცილებელ საქმეობათს მიგვანანი... იმ მთავრობამ, რომელიც მთელი თავისი საგარეო პოლიტიკით გერმანიის ერთობის ნიადაგს აშადადებს, ჩვენი სრული ნდობა დინასტიურ... მაგრამ ძლიერ მხედრობასთან ერთად საქმეობა თავისუფალი მართვა გამგეობა. აი ამ ორი ელემენტის—ძლიერი საგარეო პოლიტიკისა და თავისუფალი მმართველობის—შეერთებით შესაძლებელია გერმანიაში პრუსიის უფროსობის განმტკიცება. ამნაირათ შედგა ახალი ვადევიდა.

ავსტრიაზე პრუსიის გამარჯვებას მოჰყვა ჩრდილო გერმანიის შეერთება და პრუსიის მეთაურობით ერთი კავშირის დაარსება, ვერცხე წოდებული „ჩრდილო-გერმანიის კავშირი“. ამ ერთობს წესრიგზე დაყენებისა და სერტო კანონების შემუშავებისათვის ბისმარკმა ორნაირი ორჯანი დააარსა: წარმომადგენელი თვითთელი მოკავშირე მთავრობისა—ბუნდესრათი (Bundesrath=მოკავშირეთა საბჭო)—და წარმომადგენელი მთელი ხალხისა—რეისტაგი. ამნაირათ პრუსიის ლანდტაგის პარტიათა ბრძოლა რეისტაგშიც გადადის. პირველი, აშენებული სამკლასიან საარჩევნო სისტემაზე, რასაკვირველია, ხალხის აზროვნებას ნამდვილათ ეწერ გამოხატვდა. აქ ხმის აზროვნებას უმეტესად შეძლებულთ შქონდათ, ხოლო რეისტაგის არჩევანში თანასწორი ხმა მიეცა ყველა

სრულ-წლოვან მამაკაცს (24 წლისას), რომელსაც კი სამოქალაქო უფლებები ჩამართმეული არა ჰქონდა. კენჭის ყრა დახურული, საიდუმლოა. აი ამას ეწოდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საიდუმლო კენჭის ყრის უფლება. მამასადამე რეისტაგის პარტიათა განწყობილება ხალხის აზროვნების პირდაპირი გამოხატეულია. ამიტომ ამიერიდან ჩვენ ეტოვებთ პრუსიის ლანდტაგს და ვადევიდათ რეისტაგის პარტიებზე, რომელნიც იგივენი არიან რაც ლანდტაგისა, ხოლო ბოლოს ერთი ისეთი პარტია ემატება, რომელსაც მომავლი ეკუთვნის? და რომელსაც ლანდტაგში წარმომადგენელი არ ჰყავს. 1)

ჩრდილო-გერმანიის კავშირის შექმნით, კონსტიტუციური კითხვა ხელ ახლა საქირ-ბოროტო კითხვით ვახდა. საქირთა ამ „კავშირის“ საერთო წყობილება შემუშავდეს. ვინ უნდა შეამუშაოს ეს? მთავრობამ თუ რეისტაგმა? კონსერვატორების აზრით, ეს საკუთრივ მთავრობის საქმეა, პრუსიის კონსტიტუცია გერმანიის კონსტიტუციით უნდა ვახდეს და მეტი არაფერი. ამათ ასე მიმართეს რეისტაგის ამომარჩეველთ (20 დეკემბ. 1866 წ.): „ჩვენი პროგრამა მოკლე და ნათელია. პრუსიის სამეფო, რაგორც შუაგული ადგილი და დედა-ბაძი გერმანიის ერთობის და თავისუფლებისა, მეფის გერმანიული პოლიტიკა, როგორც მეფის საკუთარი სურვილის გამოხატეული და გრავუ ბისმარკის მიერ წარმოადგენილი და სტოვრებაში გატარებული—აი რას მველტვით ჩვენ და რის სამსახური გვეწადია!“ კონსერვატორები მთელი თავისი მოთხოვნილებებით ლორიკას მისდევენ, მართალია სიტყვა „თავისუფლება“ ენაზე აკერიათ, მაგრამ ეს ნიშნავს მათ საკუთარ „თავი-

1) ერთი კითხვა: რატომ ბისმარკს საყოველთაო თანასწორი კენჭის ყრა შქობიდა. აი ამას ვასუსი. ამ დროს საყოველთაო კენჭის ყრა მარტო საფრანგეთში ახსუსობდა. ნაშალკონს მის საშუალებით იმთავ ტასტი. დემოკრატთა აწმკეანი პოლიციის ძალადობით სდეოდა, ხალხს მოთვრობის მომსრე კინდიდატებს იმაოწმენენება სოდეკ. ბისმარკს ძაგლითა ჭქონხდა თაგ წინ და მეც ასე ვიწამო ითვიან, ხალხსაც მოგომადლიერება და ძაგტასკეებით ჩემ მომსრეთაც ეკავითერბისწამო, რაც მართლაც ასრულა. მაგრამ როცა მუშათა მარტა გამძაგრა და ეს საყოველთაო კენჭის ყრა თავის სასარგებლოთ გამოიქნა, მამინ ვი ბისმარკმა მთელი მარტა კანონს გატეჟე დაჟეუნ, ხოლო როცა მანაც არ გასტრა, ბისმარკი დატე და მუშათა მარტა უდაღეს მარტათ გამოიქნა. ასლა ბისმარკი თავისი ორგანოთი „Hamburger Nachrichten“ მის მიერ შქობილული კენჭისყრის გაუმეებას ჭქადაგეს!

სუფლებას“ და ხალხის შებოკვას. ამავე კითხვის შე-  
სახებ ნაციონალ-ლიბერალთა ახალ ჯგუფმა, 12  
ნოემბერს, ასეთი პროკლამაცია გამოსცა: „პრუსიის  
მხედრობის გამარჯვებამ გამოაშკარავა, რომ გერმა-  
ნიის მეთაურობისთვის პრუსიაა მოწოდებული. ამით  
ერთი დიდი ნაბიჯი გადადგით იმ გზაზე, რომ-  
მელზედაც კი ხანია ნაციონალური პარტია მოღვა-  
წეობს. მაგრამ პრუსიის მთავრობამ არ მოისურვა,  
მთელი გერმანიის ერთობისაკენ ლტოლვილება მარ-  
ტო მას განეხორციელებია. მან თავისი მოვალეობა  
იმით შეასრულა, რომ ჩრდილო-გერმანიის კავშირი  
დააარსა და ამისთვის ერთი რეისტაგი შექმნა. ახლა  
ეს ხალხის საქმეა რეისტაგის საშუალებით ისე მო-  
აწყოს, რომ ჩრდილო-გერმანიის ერთობა მთელ გერ-  
მანიის ერთობათ გადაიქცეს. ამისთვის აუცილებე-  
ლია შემდეგი: ერთის მხრით, პრუსიის ტახტს მი-  
ენიჭოს ნამდვილი მთავრობის ძალა შესახებ მხედ-  
რობისა, დიპლომატიის, დამოყენის, ეკარობის და მი-  
სელო-მოსვლისა. მეორის მხრით, რეისტაგს მიენი-  
ჭოს უაღრესი უფლება ბიუჯეტზე და კანონ-მდებ-  
ლობაზე. ხალხს მიეცეს სრული მოქალაქობრივი  
უფლება და ადგილობრვ საქმეებში თვით-მართვე-  
ლობა, გერმანიის ერთობა, თავისუფლება და განდი-  
დება—აი რა არის ჩვენი მიზანი“.

ოქტომბრიდან 1-ლს ნოემბრამდის ვასტანს. მსურ-  
ველთ შეუძლიანთ, თავიანთი ბაღის ღილეულობა გა-  
მოჰყინონ და ეისი ხილიც კარგი აღმოჩნდება, ჯი-  
ლდოსაც მიიღებს. ჯილდოსათვის მიწათ-მოქმედების  
სამინისტროს მიერ ათი თუმანია გადადებული. („ივე-  
რია“).

\* \*

„Нов. Обозр.“-ს ქუთათურ კორესპონდენტს  
ზოგიერთი საინტერესო სტატისტიკური ცნობები შე-  
უკრებია ქუთაისის გუბერნიის შესახებ. 1895 წელს  
ქუთაისის გუბ. იმდენი ჰირანხული მოსულა, მეტად-  
რე სობხუმის ოლქში და შორაპნის მაზრაში, რომ  
თითქმის სამი მილიონი ფუთი გადარჩენილა ვასაყი-  
დით. მხოლოდ 12 სენათა სოფელი დაზარალდა იმ  
წელს სეტყვისაგან. იმავე წელს ქუთაისის გუბ. სა-  
დამოქმონო ნათ-სადგურებიდან გატანილი იქმნა უც-  
ხოეთში სულ 5,489,200 ფ. სიმინდი, 2,971,848  
მან. ღირებული, წინა წლისაგან 188,603 ფუთით მე-  
ტი, 1893 წელს გატანილზე კი 820,750 ფუთ. ნაკ-  
ლები. 1896 წელს ქუთ. გუბერნიასი 25,379 მან.  
ფული იყო და 9,411 ფ. კარნ.—საკეები თანა  
(Продовольствен. капитал), სხვა და-სხვა საჭიროებათა  
დასაკმაყოფილებლათ.

\* \*

ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ დანიშნა აე-  
ლაბრის პირველ-დაწყებითი სომხური სკოლის მმარ-  
თველათ ბ-ნი აღნიაშვილი, რომელიც დღემდის ქა-  
ლაქის სახელოსნო სკოლაში ზედამხედველის თანამ-  
დებობას ასრულებდა.

\* \*


შავი ჭირის შესახებ საჯარო ლექციების წაკი-  
თხვა ქალაქში შემდეგმა ექიმებმა იკისრეს: ბ.ბ. რა-  
ზმაძე და გაულდელიშვილი—რუსულ ენაზე, ბ. ბაღრი-  
ძემ—ქართულ ენაზე, ფონ-ირტელმა—გერმანულ  
ენაზე, ბ.ბ. ბაბაძემ და არწრუნმა—სომხურ და რუ-  
სულ ენაზე.

\* \*

ამერიკული ლინჩის კანონის აღსრულება 17  
მარტს ჩვენმა თბილისის ხალხმაც იკისრა. ერთ ბაზას  
კოლი გაეცა, თავის საყვარელ თერძს 5—ს შეგნი-  
შნა და იქიდან შეუთვალა ქმარს, მისულობა და შენ-  
თან ცხოვრება არ შემოძლიაო. სომეხთა კონსისტორ-  
იამ დაიბარა კოლი-ქმარი (ქმარის თხოვნით) მათი  
საქმის განსახილველათ. როცა კოლი კონსისტორი-  
იდან გარეთ გამოვიდა, ქუჩაში მოკრავილი ხალხი  
მისცივიდა ლანძღვა-კიჟინით და სახეზე აფურთხებდა.  
პოლიციამ ძლიერ გადაარჩინა საბრალო დედაკაცი  
თავ-ვასულ ბუბოს კლანჭებიდან.

6. ყ —ნია.

(შემდეგი იქნება)



სხვა-და-სხვა ამბავი.



არის რკინის გზის ლიანდაგი უკვე 43 კერ-  
სტის სიგძეზე მზათ არის, სახელდობრ, მდინ.  
ხრამამდისა გაყენილი (თბ. ფურც.).

\* \*

საქარის სანერგეს იმდენი ხალხი თხოვს ამე-  
რიკულ ვაზის ნერგებს, რომ სანერგეს მმართველს  
ნება მიეცა, კიდევ ასი ათასი ახალი ნერვი გამოიწე-  
როს საფრანგეთიდან.

სოფ. აღიანშიდაც (გორის მაზრა) აპირებენ  
ამერიკული ვაზის გაშენებას, საქირო ნიადაგი მზათ  
არის და ნერგებსაც მოელოან ამ მოკლე ხანში.

\* \*

რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადო-  
ების კავკასიის განყოფილება წელს მუშტიოდში ხი-  
ლეულობის გამოაფენას გამართავს, რომელიც 15

\* \*

გაზ. „მშაკს“ სწერენ ბათუმიდან: ოსმალეთი-დან მრაველი ბერძენთა შემოვიხიზნენ ჩვენ მხარეშია. 13 მარტს ასამდე ბერძენთა ოჯახი მოიყვანა ავსტრიის გემმა ბათუმში. დღემდის 260 ოჯახია გადმო-სახლებული. უმეტესობა სოხუმის ოლქში მიისწრაფვის.

\* \*

თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი დიმიტრი (აბაშიძე) ქუთაისის სემინარიის ინსპექტორათ დინიშნა.



### წერილი რედაქციის მიმართ.



ნო რედაქტორა! \*) უმოწილესთ გთხოვთ ეს წერილი დაეიპოვებოდეთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კავალის“ მასდებულ ნომერში.

ჩვენ დიდად გწუხვართ და ჩვენთან ერთად ბევრნი სხვანაირ, რომ თქვენი რედაქციის პირველი ბურჯი და ჩვენი ერის სასიკადალო და საყვარელი პოეტი აკაკი ლორთქიფანიძის „კავალის“. გგონია, რედაქცია ამაზე ვერ იტყვის უარს, რომ ჩვენი სჯლის საყვარელი პოეტი ერთი უმთავრესი ბურჯი იყო თქვენი ჟურნალისა და გაზეთისა. დღეს მოკლებულა მთელი კრი დასტრუბეს თავისი საყვარელი პოეტის ნაწარმოებთა. ამისთვის, ბევრ პირთა სურვილის თანახმად, ვთხოვთ ჩვენი სჯლის საყვარელ პოეტს აკაკის, თუ თქვენ შორის დიდად რამ უმკეთილესა არა მომხდარა-რა, კვლავ მოუბრუნდეს თქვენ რედაქციას და ითანამშრომლოს ისევ ისე კვლავებრად, შემოაერთოს ახალი ძალი და მით ცხოველი სული ჩავუდგას ჩვენ, მის შვითხველებს.



### აკვალის „კორესპონდენტები“.



ბათუმის აფხაზეთი. ბათუმის ოლქის გონიის საბოქაულოში, — როგორც ახლა ვიხიან — სტეფანოვკაში (კახაბერში) სახლობენ 70 კომლიადე აფხაზები. ესენი უწინ, ოსმალეთის მფლობელობის დროს, ესახლენ ახლანდელ ქალ. ბათუმის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება ნურა. აქ ისინი ძვე-

ლათ მოუპატირობის დროს გადმოსახლდნენ აფხაზეთი-დან... ესენი ცხოვრებდნენ, ე. ი. სასლ-კარი ჰქონდათ, შიგ ბათუმში (ნურიაში), ხოლო სახნა-სათესა ადგილები ახლანდ. სტეფანოვკაში. როცა ბათუმი რუსებმა აიღეს და მის გაშენებას შეუდგნენ, მთავრობას წინადადება მიეცა აფხაზებისათვის: ან გვემაზე გააშენეთ ქეთი კირის სახლები, ან ვაჭყიდეთ ბათუმის ფაგალში თქვენი მიწები და გადასახლდით იქ, სადაც თქვენი სახნა-სათესი ადგილებია (კახაბერისკენ). რაკი იმათ შეძლება ალარ ჰქონდათ ასეთი სახლების აშენებისა, იძულებულნი გახდნენ, ჩალის ფასათ დაეყიდნათ თავიანთი სასახლ-კარო ადგილები შიგ ბათუმში და თვით სტეფანოვკაში გადასახლებულიყვნენ. რამდენ-სამე ხანს შემდეგ აქაც გამოუცხადეს: ეს ადგილები, სადაც თქვენ სახლობთ, ჩერნომორსკის პატარისათვის საჭიროაო და... იძულებულნი შეიქმნენ ხელ-მეორეთ აყრილიყვნენ და ცოტა ზემოთ აწეულიყვნენ. მაგრამ სახნა-სათესი ადგილებით მათგან უმრავლესობა მაინც სარგებლობდა აქამდის. ეს ადგილები სრული საკუთრებაა აფხაზებისა ოსმალეთის მფლობელობის დროიდან და ბევრ მათგანს საბუთიც აქვს იმ დროინდელი; ეს საბუთები ახლა მთავრობის ხელშია, საბუთების პატრონებს კი მთავრობისაგან კვიტანციები აქვთ.

აფხაზებს (სტეფანოვკის მცხოვრებთ) ახლა ხელ-მეორეთ გამოუცხადეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოწერილობის შინაარსი: სხვაგან სადმე მოძებნეთ ადგილი და იქ გადასახლდით, ხოლო ნაცლათ იმ თქვენი მიწებისა, რომლებიც მიეცა ჩერნომორსკის პატარისა (Опошадш. подъ Черногорск. батареи), თქვენ გეძლევათ ადგილი, რომელსაც ეწოდება კარაშარვარ. ამაზე სტეფანოვკაში მცხოვრებ აფხაზებმა მოახსენეს: ს. სტეფანოვკიდან (ბათუმიდან სულ 2—3 ვერსის მანძილზე) ჩვენ არსად სხვაგან გადასახლება არ შეგვიძლიაო და არც შემოხსენებულნი პატარისადმი მიცემული ჩვენი ადგილების სამეგიერათ შეგვიძლია ავიღოთ მიწები იმ ალაგას, რომელსაც ეწოდება კარაშარვარ, ვინაიდან ეს ადგილი მეტის-მეტათ ციებ-ციხლებიანი ადგილია. აფხაზები, რომლებიც იქ დასახლა ოსმალეთის მთავრობამ, თითქმის სულ ერთიანად ამოწყდნენ, ხოლო ორიოდ ცოცხლათ დარჩენილებიც ოსმალეთში გადასახლდნენ და საშუალოდ ბათუმს ეს ციებ-ციხლებიანი ადგილი.

ამ აფხაზების მდგომარეობა სწორეთ ვაჭირვებულია. ეს იყო ახლა ფეხს იმარებდნენ, დროს შესაფერათ ეწყობოდნენ, ბევრმა ხეხილი და ვენახიც გავრიანათ გაიშენეს და ამ დროს ეს მესამეჯერ ერეკებიანი აქედან.

\*) ამ წერილზე სული უწარაბ ას თერთმეტ კატს. რედა.

ვ ე ნ ა .

ესენი შესთხოვენი მთავრობას, ჩვენ ცოდვაში ნუ ჩაეარდებით, ჩვენი საკუთარი ადგილებიდან ნუ გადავკასახლებითო. იმედია უმაღლესი მთავრობა მათ კანონიერ თხოვნას შეაწყნარებს და მათივე კუთვნილი ადგილებიდან არ გადასახლებს აუნაზღებს, მით უფრო რომ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს მათ არაუბრით არ დაუშვასხურნათო.

X.

\*\*\*

თიანეთი. 1894 წ. აქ დაარსდა სახალხო წიგნთ-საცავსამკითხველო. საქმე ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის; უფრო კარგათ კი წაიხილდა, რვეიზიის წვერნი რომ წესდების მოთხოვნებიდან ასრულებდენ, თავის დროზე მოახდენდენ ხოლმე რვეიზიას და თვალყურს ადევნებდენ საქმის მიმდინარეობას.

საწვერო გარდასახალი წელიწადში 1 მან. დაწესებული, მაგრამ წვერები მაინც ცოტანი ამოჩნდნენ. საწვერო გარდასახალი ვერას უშველიდა საქმეს, თანეთის სცენის მოყვარენი რომ არ მართავდენ ხოლმე მის სასარგებლოთ წარმოადგენებს და საცეკვაო საღამოებს.

მუთაღუურქ.



ც რ ე მ ლ ი .

**მ**ხედე რა მართალს, უბრალოთ დასჯილს, — ლონე არ შემწვეს მის საშველათა. მაშინ მღულარე ცრემლი ვაღმომდის და ამას ვიხილ ტანჯვის წამლათა.

თუ მომავალსა თვალს გაუფსურებ, აზრი მგერევა იმედ მიხდილსა, აჩქარობებული, გულამ-სკენილი — საოხათ ვაფრქვევ ცხარე ცრემლებსა.

წარსულში ვეძებ სევდის მალამოს, მსურს მოგონებით სულს მიეცე შენება, ამოათ! იცოც შეას ზოლის მოუტავს — ცრემლით ნაქალული გულს მომაწეება. რაკი ბუნების შეწინააღმდეგებელი აღარ აყურებს მოსიყუარეს ტალღას, — მაშინ უფალსა მუხლმოდრეკილი ცრემლით ვეცადრი ჩემს შებრალებას.

ა. შავლაიშვილი.



ი, როგორ ავიწროს ენას შესანიშნავი მოგზაური ბერძნული, რომელსაც თითქმის ყველა ქვეყნები, თვით ალკირია და სახარაც კი ფეხით მოუყვლია.

პირველ შეხებაზედვე ენა შეწინააღმდეგებლილგებას ახდენს ყოველ ადამიანზე; ყველაფერი ისე უთა, კოპწია და მიმხიდეგლია, ყველაფერი ჰხიბლავს ადამიანს, — შენობებიც, ბულვარებიც, ქუჩებიც და მაღაზიებიც. არსად არ შემხვედრია იმდენი ლამაზი ქალის სახე, როგორც აქ; ყოველ ნაბიჯის გადადგამზე შეწინააღმდეგებელი, ცეცხლის მფრქვევე შეხებებიან არსებას წააწყდებით... კაცებზე ხომ მეტიც ითქმის: ისინი კიდევ უფრო ლამაზები არიან.

— მიკერს, რომ ჩვენთან ასე ძვირათ მოღაწე უცხოელეზო, — შემომჩივლა ერთმა მათგანმა. — ყველა პარიკისკენ მიეშურება, ენამ რალა დაამაგა? ნუ თუ მხიარული და სასაოლონო ქალაქი არ არის? მაგრამ ამბობენ, აქ ცხოვრება ძვირათ ღირსო...

მართლაც, ცხოვრება ენაში ძალიან ძვირია; რაც პარიკის ფრანკათ ღირს — იმაში აქ გულდენს ახდევინებენ. (გულდენი ორჯელ მეტა ფრანკზე) საზოგადოთ, ენა ვერ არის უცხოელებისათვის მოწყობილი; ის თავისებურათ ცხოვრებს და უცხოელი ძალა-უნებურათ უნდა შეეჩიოს ამ თავისებურ ცხოვრებას; იქ აღრე დგებიან და აზრე წეებიან; ვინც 10 საათს გადააცილებს, მას „შეპრ-ჰელდ“ — ჯარიმას ახდევინებენ. ვთქვათ, სტუმრათ იყავით სადმე და დაგვივიანათ: უნდა გადახადოთ ათი კრეციერი იქ, სადაც დაგვივიანეთ — რომ გამოვიშვან, და თქვენ სახლშიდაც 10 კრეციერი — რომ შევიშვან. (კრეციერი — კაკიკა) 20 კრეციერი ღლეს, ოცი ხვალ, ოცი ზეგ — თემში ექვსი გულდენია; მდიდარს არ გაუქირდება ამის გადახდა, ღარიბი კ — ძალა-უნებურათ ცხერასაც აღარ გამოჰყუფს სახლიდან 10 საათზე გვიან. ამიტომაც არის, რომ ენასთანა შეიღობანი ცხოვრება არც ერთ ღირ ქალაქში არ ნახულა; კაცის კვლისა და ვაცარკვის შესახებ აქ იშვიათათ თუ გაიგონებთ რასმეს.

მეტეტებს ენაში სულ ვერ მიუღვებით, ისეთ ღილ ფასს თხოულობენ. თვატრის ბილეთებიც ძალიან ძვირია, ამას გარდა სულ გერმანულ ენაზე არდღენენ, ისე რომ ბევრი უცხოელი რიგიანათ აქ ვერ ისიამოვნებს. უცხო ენა ფოსტაშიაც არ არის მიღებული. ფულის ვაგზანა მინდობა, ვიკითხე, ხომ შეიძლება, ფრანგულათ დაეწერო მეტეი, მაგრამ ფოსტის ჩინოვნიკმა ისე შემომბიძგირა, რომ მეორეთ აღარ გამიმეორებია ჩემი კითხვა.




ვენას მუზეუმებში სწორეთ განსაკუთრებელი არიან; ბუნების მეცნიერების და ისტორიის მუზეუმები შესანიშნავ მენაობებს წარმოადგენენ; შიგნიდან ისინი მთლათ მარმარილოთი არიან მოართული, ქვრები სულ მუენკაის, მაკარტის და სხვა სახელოვანი მხატვრების ნაწარმოებით აქეთ დაშენებული; სურათების განყოფილებაში გამოყენებულია რაფაელის, კარავაჯოს, რუბენის, რემბრანდტის, ვოლტერის ნახატები.. დათვალასაც ვერ ასწრებ, რომენი ერთმანეთზე უფრო დიდი და უკეთესი ოთახია ყოველ მუზეუმში...

ბურგ-თეატრში ფულის პიესა, „დაკარგული სამოთხე“ ეწახე; ეს პიესა „მუშების კითხვის შეეხება. თეატრი შეენიერია; ფოიე მოართულია სხვადასხვა მსახიობების სურათებით, განათებული საუცხოოთ არის; თეატრის დიდ დარბაზს ღირას (ქნარი) ფორმა აქეს. ძალიან ცოცხლოთ თამაშობდენ; ყველაში ირჩეოდა გერმანელი სარა ბერნარი, ქალბატონი გოლტერისა. ამ თეატრში მაყურებლებს უკან გადალობლია მოზლილი ადგილი, რომელიც სულ გატენილი იყო ფეხზე მდგომი აუციტრებით. თურქმ სამპერატორო თეატრებში აფიცრებისთვის ცალკე ადგილებია, სადაც მათ უფულოთ უშეგებენ.

ვენის ყველა გაზეთების რედაქციებში ვიყავი. ერთი გაზეთიც არ მოიპოვებდა, რომ უჩიოს ხელში არ იყოს. ყველგან კარგათ მიმიღეს. ვენის გაზეთები ძალიან მდიდრები არიან; შეენიერი ნახატები და შეენიერი შინაარსი აქეთ, მაგარამ მაინც 4—5 კრეციტრზე მეტათ არ ფასობენ. გერანია, გაზეთების მეტი არაფერი არ არის იათი ვენაში.

ქ—გო.

(დასასრული შემდეგ)



### წინასიტყვაობა „თუშურ სიმღერებისა“.


**ს**მ სათაურით ჩენა გესურს დებეჭლოთ რამდენიმე სიმღერა, რომლებიც შეეკრებთ წოვა-თუშებ შორის. ამ ეჟამთ იბეჭდება ოცზე მეტი სიმღერა და მოამავალშიაც იმედი გვაქეს, რომ ხალხის ამ გვარ ნაწარმოებს შეეკრებათ და გადაეცემთ სტამბას. ეს სიმღერები ჩაწერილია სხვადასხვა დროს, ამ წ— წლის განმავლობაში.

თუშური სიმღერები, რომ ეამბობ ნურაგის ეგონოს, რომ ყოველი ეს სიმღერა თუშებს ეკუთენის, — ანუ უკეთ ეთქვათ, რაც თუშებში სიმღერებია დღეს ისინი თუშურ მოწიადს ქმნიდებან იყოს. მკრებთაც მანინც განმარტოთ ეს ჩენი აზრი. მსოფლიო ისტორიაში

მრავალი საბუთები მოიპოვებდა იმის შესახებ, თუ რა გავლენა ჰქონდა ერთ ერს მეორეზე, როგორ ითენისდა ერთი ერთი მეორისაგან ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს. აწყო ცხოვრებაში ხომ ფართო გზა მიეცა ხალხების და სახელმწიფოების ერთმანეთზე გავლენას, რომლის უკიდურეს მიმართულებას წარმოადგენს ზოგეირთების განზრახვა მსოფლიო ენის შესახებ. ამ გვარ მოვლენას (ხალხთა გავლენას), ამ თუ იმ შედეგით, დიდი მნიშენელობა აქეს ადამიანის ცხოვრების მსელოლობაში. ეს ყველამ ვიცით, და ამისათვის დასამტკიცებელი საბუთები ამ შემთხვევაში არც საქარია. ამ ზოგადი აზრით რომ გავზომოთ, ან ამ თვალთ რომ შევხედოთ ჩენი ხალხის ისტორიას, ჩენ უსათუოთ დაერწმუნდებათ იმაში, რომ ქართლოსის ჩამომავლობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ სხვადასხვა ხალხებს; ამვე დროს არც საქართველო აკლებდა თავის გავლენას სხვებს. ყველა ამას, ვიმეორებთ ჩენ, დამტკიცება არ უნდა, ეს აშკარა მოვლენაა. მაგრამ ერთი მკრე ფაქტს მოყვანას კი გავებდათ. ოჯახი, — ბერეს ჰგონია, რომ ეს სიტყვა ნამდვილი ქართული სიტყვაა. ფიქრებს ბეგერი ასე იმტომ, რომ ეს სიტყვა ქართველებს შესისხლ ხორკებული გვაქეს, ქართულ ენას ეს სიტყვა გერთ კი აღარ ყავს, მას იგი შეუთესებია ნამდვილ შეიდათ. ამის შემდეგ საყვირელი აღარა არისრა იმაში, რომ სიტყვა „ოჯახი“ ქართულ სიტყვათ თვლიან. სიტყვა ოჯახი თათრულია და წინაშე გქნეს. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ტრამის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთზე საქარისათ დასამჩენევი გავლენა ჰქონდათ და დღესაც აქეთ. ეს გავლენა უფრო აშკარათ ჩანს მთის ჩენ ხალხთა შორის, სადაც ძველებური ცხოვრების ფორმები და ნაშთები დღესაც მრავალი მოიპოვება. — ბარის საქართველოს კულტურას თავისი ბიჯი ნელონელო შეაქეს ამთ ცხოვრებაში, თითქოს ეწინიან და ეპარებან... ჩენ ისტორიაში, ლიტერატურაში და ეკრძო ლაპარაკშიაც ბევრელი შეგებდებათ ასეთი რთული სიტყვა: თუშ-ფშე-ხესურნი. მეტათ სკებტიკი მკითხველი რომ არ შემხედეს, მე გავებდავ და ვიტყვ; რომ სიტყვების ასეთი დკავშირებაც კმარა იმისათვის, რომ ამ სამის ხალხის ერთათ ცხოვრება მიელოთ, როგორც ისტორიული ფაქტი. აქ უნდა ითქვას, რომ ეს ცხოვრება უქველათ მეგობრული არ იყო: თუშ-ფშე-ხესურნი ხან მტრობდენ ერთმანეთს და ხან მშობდენ. ხოლო ის კი აშკარა ჩემთვის, რომ ხესურები და თუშები მომტკებულ წელით მეგობრულათ ცხოვრებდენ ერთმანეთში; ხესურებს და თუშებს ფშელებთან უფრო შულოი ჰქონდათ. ეს ბენელოთ მოცული დრო წავიდა და ნურც დაბრუნდენ

ბა!.. ამა თუ იმ მიზნის და მიზნების გამო ეს სამი პატარა ხალხი ერთმანეთს ხშირათ ხედვბოდა, რაიცა სხვათა შორის, მტკიცდება ამ ხალხების სიმღერებიდანაც. ნურაფინ იფიქრებს, რომ თუშ-ფშაფ-ხეცსურს არ იცნობდა მთიულ-მობხევე-გუდამაყრელი, აი ამის საბუთიც, ერთხელ, როდესაც თუშებს ლეკებმა შწარე ღლე დააყენეს, თუშის ქალებმა, სხვათა შორის, ინატრეს: ან მაგ მთიულთა ბაჭყალსა უაწიმა <sup>1)</sup> დაუწინაო.

ამასთანავე ზურაბ ერისთავის შესახებ სიმღერა ყველა ამთში მოიპოება. საზოგადოთ თუშ-ფშაფ-ხეცსურების სიმღერები დღეს ისე გადახლართულია ერთმანეთში, რომ მათი გარჩევა ძნელია; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კერძო შემთხვევაში დარწმუნებით შეუძლიან კაცს ესა თუ ის სიმღერა მიაწეროს და აკუთვნოს ერთ-ერთ მათგანს. სიმღერაში ადამიანი გამოხატავს თავის ცხოვრებას, თავის ზედს და უბედობას. მთის ჩვენმა ხალხმა თითქმის მთელი სიცოცხლე ბრძოლას მოაწოდო: ესენი ებრძოდნ ბუნებას ჭ მტერს. ამ დროს საჭირო იყო გულად და შკაჯაიანი გმირი. — ამასთანა პირნი წინ მიუძღოდნ თავის თემის ხალხს, ამ გვართ იცავენდნ თავის მშობელ ქვეყანას და ზარს სცემდნ



წმ. სტეფანეს სობორი ქ. ვენაში.

მტერს. ამასთანა პირი მაშინდელი მთიულისათვის წახაბაძეი მაგილითი იყო; ყველა ცდილობდა, რომ ამ იჯალასთვის მიეღწია. სწორეთ, რომ კაცის ამ გვარმა თვისებებმა მაშინდელ ქუდოსნის და მანდილოსნის გულში დიდი ადგილი დაიჭირეს; ყველას აკვირებდა და აღაპარაკებდა რომელიმე პირის გმირობა. ამ შთაბეჭდილებას ემატებოდა უფრო ძლიერი შთა-

<sup>1)</sup> იარაღის და ქაშისს სამკაული.

ბეჭდილება, რომელიც იყო შედეგი საჯაროთ თქმული სიმღერებისა. — ამისთანა გმირულმა დრომ გამოიწვია საომარ ასპარეზზე აგრეთვე ქალიც. მართლა-და, წარსულ ცხოვრებაში არა ერთი გმირი ქალი მოიპოვებოდა, თუშის ქალი ფშავის გმირს უთელის:

საგაღეთ აჩას მოგაგაღ —

ქაღი ვარ კეთილიანი;

გარგაზად, თორღვავ, აჩას შემირთავ —  
ახნაური სარ ყმანსა. 2)

ერთმა თუშის ქალმა საოფელ ფარსმაში (მთის თუშეთი) დიდი გმირობა გამოიჩინა იმ დროს, როდესაც მთელ თუშეთს შემოესია (ზეპირგადმოცემით) მურთაზ-ხანი. თუშების ზეპირგადმოცემაში კარგათ არის მოთხრობილი ეს ამბავი; გმირბთა შორის დასახელებულია ქალიც; აი სიმღერის ნაწყვეტიც:

ქაღმა, კახსა 3) ათენსა 4)

გაჭრათ ცვაჲ თავა.

ამ მცირე მოსახრებიდან ჩანს, — კერძოთ რომ ეილაპარაკოთ, — თუშების სიმღერების უმთავრესი მნიშვნელობა უნდა იყოს კერძო პირის ეტკაცობა, მტერთან მისი გამოჩენილი გმირული ბრძოლა, სიმღერები (როგორც მკითხველი დაინახავს თუშურ სიმღერებიდან), ავეწერენ არა თუ მარტო იმისთანა გმირების მოქმედებას, რომლებმაც მტერი სძლიეს და მინ დაბრუნდნენ „სახელოვნნი“, არამედ იმისთანა პირებსაც, რომლებიც ბრძოლაში უშეშრათ შევიდნენ და მტერს თავი შეაკლეს, სიმღერა ამათენ უფრო იზიდავს აღამიანის გულს, აი თუ გნებავთ:

თოვლი თოვლს შირაქის თავსა,

დაზღა ურდოხე 5) დარას.

თუმცა შირაქის თავიდან ურდო თხუთმეტის ეგრისის მანძილზე არც კი იქნება, მაგრამ ასე ინება „მოლექსემ“. საქმე იმაშია, რომ ურდოს კალთაზე იწეა მტრისგან დამარცხებული და საუკუნოთ თვალდაზრუნული გმირი, რომლის სიკვდილს ნათელი, შუქიანი დღე ესაპირებოდა, — განთქმულ გმირს შევნიერი დღე უნდა დაწაოადეს, თორემ ჩვეულებრივით შირაქის თავში რომ თოელი მოდის, ურდოზე წვიმა მაინც უნდა იყოს. თუშების სიმღერებში გამოიხატება აგრეთვე ამათი ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეებიც: ქალის უნუგეშო მდგომარეობა მამის და ქმრის ოჯახში, დის სიყვარული ძმისადმი, დაქვრივებული ქალის დაბრუნება მშობლებისას, საიქიოს ცხოვრ-

ბის წარმადგენა, დატყვევების ამბავი, სისხლის ძიება და მრავალი სხვა. დიდის სიყვარულით არიან აღწერილი პარტუენიც, უფრო ცხენი და ძაღლი, — ეს განუშორებელი მკობარნი მეცხვარისა... ყველა ამის საბუთებს მკითხველი იპოვის თვით თუშურ სიმღერებში. საკვირველია, რომ იმ ხალხს, რომელსაც თავის ცხოვრების მანძილზე მრავალი ენება გამოუვლია, ღიაგაუფი გძმნაბას გამოამატეული სიმღერები თითქმის არ მოგაგოვება. ეამბო ამას იმიტომ, რომ ჩვენ შეგვხდა მხოლოდ ერთი ან გვარი სიმღერა და ამის მეტი არც ვაგვიგონია. რომელმა შემთხვევამ დაბადა მკოსანში ამისთანა გრძობები, რომელი მუხთალი ბედი ეწეა მას, რომ ის ასე მწარეთ გამოახატავს თავის გულის უფოთვას და მცელე ვარებას — ეს მე არ ვიცი, ეს ჩემთვის სამუდამოთ დაუარულია. ან ეინ შეთხზა ეს გულის მომკვლელი სიმღერა — კაცმა თუ ქალმა? თუშურ პოეზიაში, როგორც თვით მკითხველიც დაინახავს, ქალს ექრა არა — უკანასკნელი ადგილი. ქალსაც ბევრჯელ უთქვამს: „მაღ ლექსის მოლექსებელი“... ქალი მაინც და-მაინც მასხლავს სასლუბას დახარგულ წგერი იყო და საჯაროთ გამოსახელობას საქმა საბუთები აი ემ ლეოდა. ამისათვის ეთქობა, რომ სიმღერის ლირიკული მოტივი ქალის ტირილი უნდა იყოს; და როგორც იშვიათი ნიმუში ლირიკული სიმღერისა, ნებას ეითხოვთ, რომ ეს სიმღერა აქვე მოეყვანოთ.

ზღვითა ღრუბლები წამოიშავა,

შუა ცას გროვადამან.

ცაო, დაღო ღრუბლები,

გულო, საგანებუღაი.

არგა დაღას ცამა ღრუბლები,

არგ გულმა საგანებუღაი.

გულო, რა გიყო, ჭარით მოკლელო,

რა დაგაყო წამადი?

არგ დაგეგეგა, გულო, ექმაი,

არგ დაგეგეგა წამადი...

ცას გეგეს ჩამოდრუბულესა —

საწყემართ მომხადებულესა.

ქაღს გეგეს ქმარყოფა მოშლილესა, —

მამისას დაბრუნებულესა;

წასქაღესა გეგეს მიშლიდ-მოშლილესა —

სათავე გადაგებულესა;

ცხენს გეგეს, პატრონ მომკვადრას —

სადო დაღ დაგებულესა,

წაღმა-უგულმა დგებოდეს,

კბილითა სწავეს დაგამას.

2) ამ ლექსის სხვა და-სხვა ვაგებების ახსნა იქნება თვით ლექსში.


3), 4) კაცის და ქალის სასულებია.

5) აღზნის მარცხენა კიდე, პატრონის წყლებს აღმოსავლეთით.

ამ სიმღერისა სხვა ვარიანტიც მოიპოვება.

სიმღერა, ვარდა იმისა, რომ თავის შინაარსით გენსტავენ ადამიანის ცხოვრებას, აღძრავს ჩვენში სიყვარულის გრძნობას მოძქისადმი საზღვართ და მტრულათ ვაგზებებს მტრისაკენ; აღძრავს ჩვენში სინარულიის გრძნობას და ბევრჯელ გააღვიძებს გულის მომხალე დაზარელ სიმებსაც. ამ სახით სიმღერას აქვს აღმზრდელი მნიშვნელობა. უწინდელ მგონებს სიმღერის ამისთანა თვისება კარგათ ესმოდათ და სიმღერით ზრდიდნენ ახალ-თაობას. დღესაც მღერიან წარსულ დროის სიმღერას, მაგრამ მსმენელებზე ამას უწინდებური გავლენა აღარა აქვს; და თუ აქვს რაიმე გავლენა მზარდ თაობაზე, ეს მეტათ მცირეა, თლ ხანს არა რჩება მსმენელის გულში; შეწყულება თუ არა ჩანგურის ალყების უკანასკნელი ხმა, სიმღერის შთაბეჭდილებაც რამდენსამე წამის განმავლობაში ეკარგება ადამიანს. ეს ასეც უნდა იყოს; აწინდელი ცხოვრება ის აღარაა, რაც იყო... დღევანდელი მოღვაწე ან მომადრე რაღაც ნაირ უგე-

მურ სიმღერებს თხზავს. მაგალითათ: „ქალი ლამაზა“, „ქალების ვაჯაერებული უღაბონს წავალ ბერთა“, „ქალებსა გამოემეცი დაკარგულ წეროსავითა“... ან თუ არადა ქალკის ქუჩის ამ გვარი ნაწარმოები: „ერი-ერი ერისკენა, კეკელჯან“... თუ ხალხი ამ გვარ სიმღერებს თხზავს და ითვისებს კი-



გენის მოედანი.

დეს, ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენი ხალხი, დრო გამოშვებით მიინც, ცდილობს დაკმაყოფილოს თავისი ზნეობრივი და გონებრივი მოთხოვნები; მაგრამ ეს სულის საცეები მასალა მეტათ დარბია, ფუჭია და მკნეულოდ იქნის. აქედან შემდეგი დასკვნა გამოვა: თუ ხალხი მიინც-დამინც ითვისებს სიტყვიერების სხვადასხვა ნაწარმოებს განუწყვლათ, და რადანაც უოგაბათ სასურველია ცუდის მაგიერათ კარგი შეისწავლოს და შეითვისოს, — ამისათვის ჩვენი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ რიგეანი შინაარსიანი მასალა მიწოდოს ხალხს. ამას ლოდინი აღარ უნდა, დრო ბეერი ხანია თხოულობს ამას..

თუმც. ამით სიმღერის მოტივები (ხმები) ბევრათ განიროხება ერთმანეთისაგან. ფშაველის მღერა უფრო მოაგონებს ადამიანს უგეშურ ტირილს, როდესაც ისინი მღერიან რამდენიმე კაც ერთათ. ფშაველი მღერის აგრეთვე ჩანგურზედაც, შირის ხმაზე. ხევსურსა და თუშს აქეთ ერთ-ნოეანი მოტივები და მღერიან ჩანგურზე (ბევრჯელ უჩანგურთაც). ვარდა „შირის ხმისა“, ამით აქეთ სხვა მოტივებაც: ხევსურს მღერის მკაჭრი და მდადის სმით; ხოლო თუში მღერის უფრო დაბალი ხმით, და მისი მოტივი წააგავს მოთქმითი ტირილის გილას (თუშის ქალის ტირილს). არც სალამური აკლებდა თავის ხმებს თუშის სმენას, — სალამური ხომ ჰირშიაც და ლხინშიაც მეგობრობას უწევდა მეცხვარეს. ხევსურს სალამური სრულებით არა აქვს, და ეკონებს, არც ფშაველს უნდა ჰქონდეს. მთის თუშეთში საჯაროთ მღერან და ტუკუბუნ ჭაღუი ერთმანეთთან და კაც კაცბთანაც, თუ გინდ ეს ევაკაცო სრულებით უცხო ენზე იყოს.

ჩვენ შევკრიბეთ სიმღერები, როგორც ზემოთაც თქვა, წოვა-თუშებ შირის. ამაზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას. წოვა-თუშის ზოგბა მეტათ დარბია უნდა იყოს. თუმცა დღეს შეუძლებელია ამ აზრის დამტკიცება ზოგურ ნიმუშებით, რადგან ამ ჭვათ ვერ ამოიჩნება ის, რაც ეკუთვნის წოვა-თუშებს, დანაირენ თუშებს და საქართველოს ტომის სხვა მთიელებს. წოვა-თუშებს ქართული ენისა ძალიან მცირე და განუყოფელი ლექსიკონი აქეთ, რის გამო ვერ შეთხუედენ რიგეანი სიმღერას. ამ აზრს საკმარისათ დავასაბუთებდით, მაგრამ, ჩვენ-და დამუკიდებელ მიზეზთა გამო, თავს ვანებებთ. რადგან წოვა თუშები თვითონ ვერ აწყობდენ საკმარი-

მღერის ფშაველი, მღერის ხევსური, და მღერის

სათ სიმღერებს, ამისათვის უფრო ადვილათ იღებდენ და ითვისებდენ სხვის პოეტურ ნაწარმოებს, რის მაგალითებიც მრავალია. ამისათვის თუშური სიმღერები უნდა შეაქრიაოს მთის თუშეთში.

რამდენათაც ჩვენ გვესმის ხალხური პოეზიის საქმე, და როგორცა ჩანს იმ სიმღერებიდან, რომელნიც ჩვენ გავიგონეთ მთის თუშეთში, სწორეთ აქ უნდა ვეძებდეთ თუშურ პოეზიის საფუძეს. საქმე იმაშია, რომ აღამიანს თავის თავათ ებადება შემდეგი კითხვა—რით უნდა იხელმძღვანელოს კაცმა სიმღერების და ხალხის სხვა ნაწარმოების შეკრების დროს? ამ კითხვას პრაქტიკულათ დიდი მნიშვნელობა აქვს და ამაზე, თუ მესხიერება არ გვატყუილებს, ქართულ ლიტერატურაში ლაპარაკი იყო. წარმოთქმული იყო ის აზრი, ვითომ ხალხში მოიპოვებოდეს ისეთი პირნი, რომელთაც დაცული ჰქონდეთ ხალხის სიტყვიერი ნაწარმოებნი. ეს აზრი ჩვენ უნუნდა უარ-ვეყოთ. ეს აზრი (ხალხის ზეპირადმოცემის დამცველების შესახებ) დიად, საუფძლიანი მოსაზრებაა, თუ მივიღეთ, როგორც ზავადა აზრი, ასე ვთქვათ — პირინი. ვინც ამბობს — ხალხში მოიპოვება მის სიტყვიერების დამცველი, იგი ჩვენ ცხოვრებას არ დაჰკვირვებია ჯეროვანათ, მას ჩვენი ცხოვრება ალაგობრივ არ უნახავს და არც ვუესწავლია. ბარის ხალხს ხომ აღარ ჰყავს ამისთანა მკოდნე პირნი. შეიძლება, რომ მთის ჩვენ ხალხში მოიპოვებოდეს ამ შემთხვევისათვის საჭირო პირნი? ჩემის აზრით, აქ ითქმის მხოლოთ შეიძლება და არა ამაზე მეტ. მთის ხალხის ცხოვრებამაც ფერი იცელა და ამისთანა მკოდნეებს და მგონებს აღარ ჰბადავს. სიმღერები გაფანტულია მთელ ხალხში — ხალხში მოიპოვება სიმღერა ბევრმა იცის ზეპირათ. ამისათვის, მე ვფიქრობ, რომ ყოველი სიმღერა (ბევრი რამ სხვაც); რომელიც კი მოიპოვება ამა თუ იმ ადგილში, უსათუოთ უნდა იყოს წაწერილი. მხოლოთ შემდეგ უნდა გავეთედეს თვით საქმე: შემკრებელმა, ან სხვა ვინმემ — ეს ჩემთვის სულ ერთია — უნდა შეათანხმოს სხვადასხვა ვარიანტები და ამ გვარათ აღადგინოს, დაახლოვებთ მანაც, ესა თუ ის სიმღერა და სხვაც. ამნაირათ ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებთა შეკრება შეუძლიან ყველას, ვინც კი იცის წერა და კითხვა; და თუ მკოდნე პირს\* ძებნა დაუწყეთ (რაც, ჩემის აზრით, ამაოა), მაშინ მუშაუნად მგდნენ და შეკრებული პირი უნდა იყოს, რაიც ჩვენში ბევრი არ მოიპოვება.

დ. აღმაწული.

თუშური სიმღერები.

I.



თა-მთა რას გვიელი, ვაზოძე, ბარის არ გეყო, ლეკო, ზიანი? გარდახვალ ხვესურეთშია —

ხმალნიც მანდ წყეუნან ფხიანნი. გზას თორღვა შემოგვეყრება — ლეთით არის დოვლათიანი. თოფ-ხმალს, ვაზოძე, გასუქებდის; 1) დანას დაგიმალდა ფხიანსა: გულს დაგეცმდა ქამარ-ხანჯალსა — მიწას გაჰქედა მტერიანსა. სატრალათ ქალებ არას მოვივალის — ყორნისა დაკისდებ შევი ჯარია. მანდითა, თორღვაე, მობრუნდებოდი — პირ-სისხლიანი მგელია, გზას ქალებ მივეგებეიანი: „ბიჭო, საით მოხვალ სახელიანი?“ — თოფ-დ-ხმა წამართე ვაზოძემდა, შინ მოვიღვიარ სირსხელიანი — „ვაზოძის გამღებელია, 2) რაიდ „იფავე ფარია?“ მთავრობა შენა გიბარებს ქალქსა, ტანზე გამოვიცილის ხალათსა; კარგზე შეგვამდა ცხენზედა — შინ რომ მოვიყენავს წამხვდა.

მაგ შირის მოშირე ქალი ვარ ვამწერელია 3) შიიტყოდ, თორღვაე, ვამომიზაუნდი საყურ-ბეჭედი გუკუმეიანი; 4) თუ ისაც არ გემოეებოდეს — ან ტყე-კაბა ნავოჭიანი; საცოლეთ არას მოვივალ — ქალი ვარ კეთილიანი; 5)

1) ხალხის თქმით: ვაზოძე მძინარე თორღვას წადა და აქედან იარადი.  
2) მომკვლელია.  
3) სკობა თუშეთში, დასასლესული სოფლებით.  
4) გერგელის დიდი და მორგვალა მთეი.  
5) თუ არა ვნდებთ, უნდა ნიშნავდეს: ნათსოვენი ქალი ქმრისაგან გატყუული სხვას ვუდარ შეიწთავდა რადეინიე ხსნს.

გერგებოდა, თორღავე, არას შემირთაე —  
 აზნაური ხარ ყმიანი. .  
 ნურც თავსა, თორღავე, გავგიდიდებდე —  
 მამა მეც მყენდა ხმლიანი:  
 თუ გინდ ჰკითხოდე გამეწრელებსა—  
 ქეთარ მქეიანიდ არისა;  
 მარტოდ ჩაეილად ქარისა <sup>6)</sup> თავსა,  
 ნოტობებ <sup>7)</sup> მოუდიოდ ცხერისა.

(შემდეგი იქნება).



მიწათ-მფლობელობა აფხაზეთში. \*)



ოხუმის ოლქის სხვა ნაწილებში მდებარე სა-  
 ხელმწიფო ადგილები მთებია, ძირითადი ტყით  
 შემოსილნი, ანუ საზაფხულო ს.ბ.ალაზა, ეს  
 უკანასკნელი ადგილები ყოველ წლობით იჯარით  
 გაიციმა ხოლმე. მოაჯარადრეები ისევე აფხაზები და  
 მეგრელები არიან, რომლებიც მიგრელებთან იქითეთ  
 ზაფხულობით თხა-ცხენარსა და ცხენებს <sup>6)</sup>. ის მთა  
 ადგილები, დასასახლებლათ გამოუსადეგარნი არიან.

ადგილობრივ თავად აზნაურობას, სამფედლოვ-  
 ბას, (და ზოგიერთ სხვა წოდების ნამსახურ პირთაც)  
 დაურიგეს მიწები. მომეტებულათ სოხუმის ოლქის  
 სამ დანარჩენ საბოკაულოში (სამურზაყ, კოდო-  
 რის და გუდაუთისში). რადგან ის ადგილ-მამული,  
 რომლითაც გლეხები სარგებლობდენ ბატონყმობის  
 დროს, თავდაზნაურობის საკუთრებათ არ იქმნა  
 ცნობილი, რასაკვირველია თავად-აზნაურობას, „ობ-  
 შინ ს“ ვარემე, მიწები არ უნდა მისცემოდა. და თუ  
 ეს ასე არ მოხდა, თუ იმათ მიუზომეს, გაუმიჯნეს  
 „კერძო ნადელები“, — ეს იმითმ კი არა, რომ  
 მათ ერგებოდათ, უფლება ჰქონდათ, არამედ უმა-

დღესათ ებოძათ, როგორც წყალობა — საჩუქარი.  
 ამ უკანასკნელ რუს-ოსმალთა ომიანობის დროს, ან  
 იმის წინეთ, ეინც რუსებთან ერთგულობითა და სა-  
 მსახურით იყო გამოჩენილი, ეისაც რამე „მინი“ ან  
 ნიშანი ჰქონდა, დანარჩენებზე მეტი მიწა ეძლეოდა.

რადგან თავად-აზნაურებს ეს უმაღლესათ ნაბო-  
 ძები კერძო ნადელებს ყველას იმავე სოფელში არ  
 მიეცათ, სადაც თვითონ მოსახლობენ, არამედ სხვა-  
 გან, ხშირათ რამდენსამე ათის ეერსის სიშორეზე და  
 რადგან ეს „ნადელები“ მინც და მინც ღიდები არ  
 არიან, თავად-აზნაურნი მათი გულისათვის თავიანთ სო-  
 ფლებს ევლარ ტოვებენ; სოფლის „ოშმინაში“, თუ უფ-  
 ლებით არა, საქმით მინც, ცოტა მეტი მიწები უქო-  
 რათ და მათი გავლენა გლენობაზე იქ ვერ არ მოსპო-  
 ბილა, ხოლო ამ სიშორეანად კი კერძო ნადელების მო-  
 ელა პატრონობა ეძნელებათ და არ ეხერხებათ. (ზოგი-  
 ერთებს ორგან, სამგან აქეთ „პლანები“). აი, სხვა-  
 თა შორის, ამითიც ახსნება, რომ აქაური აზნაურო-  
 ბა ჰყიდის თავის მიწებს. სხვა მიაზნებნი კი აზნაურო-  
 ბის მიერ მიწების გაყიდვის იგეგვა, რაც დანარჩენ  
 საქართველოში.

გასაკიდი მიწები, დღეს აფხაზეთში კერძო მე-  
 მამულეთა საკუთრება, ყველაზე უფრო ჩენის აზრით,  
 წებელდაში მოიპოვება (წებელდა — წებელ (აფხ. წა-  
 ბალ) — დალ; რუსები მარტო პირველს ეძახიან წე-  
 ბელდა, მეორეს კი დალის ხეობას). ეს ადგილები  
 სოხუმთან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით მდებარეა-  
 ბენ. დალის ხეობა კოდორის ორაივე განაპირა მთებ-  
 ში. ამ ხეობით გადის ეიწრო გზა ყარაჩოკენ. დიდი  
 ხანი არ არის მას აქეთ, რაც დალი გაქვეყნო იყო  
 აფხაზეთითა. ეს ქვეყანა, აფხაზებისავე სიტყვით, ვან-  
 თქმული იყო რძითა და თაფლით. დალელების მიერ  
 დარგული ხეხილი ახლაც ბლომათ ისხამს ნაყოფს  
 ტყის ნადირთა საკებათ. დალი, ძველათ იქაურ  
 მცხოვრებთა ეფ-კაკობით განთქმული ქვეყანა, დღეს  
 გავრანებულა ისე, რომ შიგ არაეინ ცხოვრებს.  
 თეთი ახლადელი „პომეშჩიკებიც“ არაეთიარ ქურა-  
 დლებას არ აქცევენ თავის „პომესტიებს“ და ძალიან  
 იშვიათათ ინახულებდენ ხოლმე. ეინც საქართველოს  
 სხვა-დასხვა მთიან ადგილებიდან, როგორც მავალ,  
 რაკა-ლეჩხუმიდან, მაღლობ გურიიდან და სხ. გად-  
 მოსახლებასა და სხვაგან ბედის ძებნას აპირებს, ამ  
 წებელსა და დალს (წებელდა) უნდა მიაკეთოს გან-  
 საკუთრებითი ყურადღება, რადგან ეს მხარე ვერ  
 არაეინ არ დაუქვრია და ცარიელია — თეთი მემე-  
 მულენიც, რომელთაც არაეთიარ შემოსავლით არა  
 აქეთ აქაური მიწებიდან, დიდი სიამოვნებით გაყიდი-  
 ან ამ მიწებს დაბალ ფასათ. ხათაბალა იქნება, თუ  
 მართლა აქაური მემამულენიც (როგორც ისმის)

\*) ის. კვლეი № 12.  
 6) ზაქთაფა.  
 7) ფრის ნაწილები; სხვაგანათ ცოტა ცხენარ.  
 8) „ოშმინაში“ სომ ეწვეა წიწრი „ოშმინისა“  
 ერთგვარათ სარგებლობს საოკარ ადგილებით. მემ-  
 მულენიც თავიანთ გემრთ ნადელებზე სამოგან გარდასა-  
 ხას და ასდეკინებენ ვერ-ვერობით საქონლის მ-  
 ცრონს, ვარდა ზოგაერთიანას. მსოფლით თხა-ცხენარ  
 ვოგობათ ეისც ეყეს, მოურადგვას „პლანა“-ს მ-  
 ცრონს (ქე მემამულისაგან ნახშირ ჩაყრილ კერძო  
 მიწის ნადეს „პლანს“, ეძახიან) ცხენარსა და თხის  
 თავსე.

უფრობენ მყიდველთა ცინაობასა და ეროვნობას. მეგრელებში ჯერ ერჩივის მოუხერხებია დღოში მიწის შექმნა და დასახლება, თუმცა უცდიათ კი.

კოდორის გამოძლი, ეგრეთ წოდებულ აბჟუე-შიც (კოდორი. ნაწ.) ჯერ ბევრი გასაყიდი მიწებია. ასეთი ადგილები, ნაწილურადა, უფრო სხვადასხვა სოფლებში და ნაქერ-ნაქერ იშოვნება. ამიტომ ამით მოსახლობით გადმოსული თითო-ორჯოლა მეგრელი უფრო ეწყობა. მაგრამ აქაც არის რამდენიმე სოფელი, სადაც ბევრი გასაყიდი მიწები იშოვება ერთათ, სადაც რამდენიმე ასი კომლი მოსახლე დადიდა..

რაც კი თვად-აზნაურთა მიწები გაიყიდა, კოდორის ნაწილში (და სამურხაწყანოშიც) თითქმის ყველა მეგრელების ხელში გადავიდა და გადადის.

უმთავრესად მეწიურებო, შეშისა და ფიჩხის მონატრული მეგრელი მოადის აუზა მემამულესთან და ყიდულობს ერთ, ან ორ დესტერინა მიწას. მეტის ყიდვითა თვის ღონე არ შეეწყვს; რასაც ამაზე მეტს დამუშავებს, მაგალითათ სიმინდს, მგობრებს მემამულეს აძლევს. მყიდველი პირობასაც მიიღებს ხოლმე მიწის პარკონისაგან, რომლის ძალით უკანასკნელმა მთელ თავის მამულიდან უნდა აძლიოს მას სამუდამოთ, მხოლოთ მყიდველის ოჯახობისათვის, საკმაო შეშა, ფიჩხი და ბალახი უსასყიდლოთ. გადმოსახლებული უწყალოთ ოფლსა ღერის და სულ იმის ცდაშია, რომ სიმინდის მოყვანით და გაყიდვით ფულები შეაგროვოს და მით მემამულისაგან კიდევ იყიდოს მიწა. ბევრი მაგალითია იმისი, რომ მეგრეს ამ გვარი დიდი შრომა-ვაჯისა და მეცადინეობის მეზობით, ერთი დესტერინად დაწყებით, რამდენიმე ათი დესტერინა ეყილის და ზედ თვითონ გამოჰმილიყო, ახალ-მოღურ კომეში-კურათ. მხოლოთ ზოგიერთებს გაუღიმიებს ამნაირთ ბედი, საზოგადოთ კი გადმოსახლებულ მეგრელთა მდომარეობა არც ისე სანატრელია, როგორც ბევრს ჰგონია.

სიმინდის რიგიანათ მოყვანა და დამუშავება, ეენახისა და ხეილის გაშენება მეგრელებს ძვირდ ემარჯვებთ და ამავეს მისდევნ კიდევ. ერთი მათი ნაკულთევენება, რომ სწორეთ ისე, როგორც აუზაზე, ისინიც ტყეებს უნაგარიშოთ ჰრიან და ანადგურებენ, ახლო მომავალში ხომ ამას დიდი ენება - ზარალის მოტანა შეუძლია ამ ქვეყნისთვის.


გასაყიდი მიწების ფასი დაახლოებით ასეთია აბჟუეში: დესტერინა იყიდება ოთხ-ხუთ თუმნიდან ათ თუმნამდე, მიწის ღირსებასა და ბევრ სხვა რამეების მიხედვით. თუ მყიდველი ნაყიდ მიწის დამუშავებას ყიდვასთანავე დაიწყებს, ან დავსახლება იმაზე, მაშინ მემამულე შეიძლება ისეც მოურადგეს მყიდველს,

რომ მთელი ფასი ერთბაშათ არ გამოართვას უკანასკნელს. ერთ ნაწილს ხვედრი ფასისას პირობით დაადის რამდენსამე ხანს, მაგ. ნაყიდ მიწაზე მოწეული ნაჟუშერის გასაღებამდე. ეთქვათ იყიდეს მამული თებერვალში, ან მარტში, მიწის ფასის ერთ ნაწილის გადახდას ბევრი მემამულე დაადის შემდეგი წლის მისის ან ივნისის თვემდე, რადგან ყოველ წლობით ამ თვეებში გამოირკვევა ხოლმე აქ სიმინდის მახანდა და მაშინ იგი უფრო იყიდება. ფასის ერთ წილში ზოგი მემამულე ღებულობს, შინაურ საქონელს, უფრო კი ცხენებს და სხე.

კერძო ნადელები აუზაზეში, როგორც შენის-შენი, ეკობი-ეკობი, ნახშირ-ნაყინა, საადგილ-მამულა დოკუმენტები გამოართნილია (თუმცა ბევრს არ გამოუტანია ხაზინაში მათი ხვედრი ფულის შეუტანლობისაგამო) ამიტომ ნაყიდ მიწების დამტკიცება და ჩაბარება აქ ბევრი სადავიდარაბო არ არის. საზღერებისა, ან სხვა რისაზე შესახებ მემამულეთა შორის უთანხმოება და დავიდარაბა იშვიათია აქ. მემამულე აუზაზე გაცემულ შინაურ პირობასაც არ არღვევს, თუ „აბლაკატებმა“ არ არიეს მოანსატერი.

ბ. ჯ - ა.

(შეადგვი იქნება)



პოლიტიკური ამბები.



როგორც ახლა ჩანს, თათრებს 700-მდე სომეხნი მოუკლათ ქ. ტოკატოში. პირტამ შეატყობინა ელჩებს, რადგანაც ჯარიც იღებდა მონაწილეობას ამ საქმეში, ტოკატოს ჯარის უფროსი თანამდებობისაგან დათხოვილია. გამოძიებულ კომისიას უფლება მიენიჭა სიკვდილი მოუსაჯოს დაწამებთ.

\*\*


დღეს ათინაში 17,000-მდე ხალხია, კრიტიდან გამოქცეული და აქ შეხიზნული. ბევრ მათგანს ტანზე არაუფერი ეცვა, ბევრს შიშისაგან გონება შერყვია.

\*\*

კრიტის წლებზე 110 გემია მოთავსებული ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრო-უნგრეთისა და რუსეთის.

\*\*

კრიტის მემამულეებმა ყურადღება არ ათხოვეს ევროპის სახელმწიფოთა ადმირალტების ბრძანებას და თათ



რების სიმაგრეს მალაქსს, კანის ახლო, თავს დაეს-  
ხენ. თათრებისა და აღმირალოთა გემებმა ზარბაზნები  
დაუშინეს მემამბოხეთ, მაგრამ ევრაფერი გააწყეს.  
ბერძენებმა სიმაგრე ჩაიგდეს ხელში. აღმირალებმა  
თავ-თავიანთ სახელმწიფოებს ახალი ჯარები მოთხო-  
ვეს კანის დასაცველათ. კრიტის საქმე ახლა ისე  
დატრიალდა, თითქო ვასოსმა მთელ ევროპას ომი  
გამოუცხადაო. მას 4,000 გაწრთენილი ჯარი ჰყავს  
და 17,000 თავის ნებით მოსული მეომარი.

\* \*

კუნძულის „ბლოკადა“ სასტიკი არ არის და  
ბერძენთა გემებმა უცე სურსათი მიაწოდეს მემამბო-  
ხეთ.

\* \*


ათინის ზაზინას მრავალი ხალხი ახვეცია, რომლებიც  
ფულს სწირავენ თავის სამშობლოს. ორმა ბერძენთა ბან-  
კირმა მარსელიდან ორი მილიონი ფრანკი გაუზღვეს  
ათინაში სამხედრო სამინისტროს.

\* \*

18 მარტს, კრიტზე სპინალუნგის ახლოს 48 სა-  
ათის განმელობაში ბრძოლა იყო მემამბოხეთა და  
ოსმალებს შორის, გამარჯვება მემამბოხეთ დაჩაბთ. და-  
მარცხებული თათრები კუნძულის შუა გულ ადგილებში  
გაიქცენ. საფრანგეთის აღმირალი გაემართა იქითკენ,  
აღბათ იმათ მისაშველებლათ. ამავე დღეს მემამ-  
ბოხენი თავს დაესხენ სიმაგრე იზედდენს. სახელმწი-  
ფოთა გემებმა ზარბაზნები დაუშინეს იმათ.

\* \*

კრიტის საქმე ისე გამწევედა, რომ ევროპის სა-  
ხელმწიფოებმა გადაწყვიტეს, თავისი ფლოტით შეჰკ-  
რან საბერძნეთის ნაპირების ერთ ნაწილი; მხოლოთ  
ინგლისი არაა ამის თანახმა. პარიზში ინგლისის ელჩი-  
მა აცნობა მინისტრ ჰანოტოს, ინგლისი შშათ არის  
თავის ხარჯით 10,000 ჯარის კაცი გაგზავნოს კრიტ-  
ზე კუნძულის დასამშვიდებლათო. თუ სახელმწიფოა-  
ნი ამაზე დათანხმდებიან, ინგლისიც შეუერთდება  
იმათ საბერძნეთის ნაპირების „ბლოკადაში“. ჰანო-  
ტომ უპასუხა, საფრანგეთი იმ აზრისაა, რომ კუნძუ-  
ლის დამშვიდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს საქ-  
მე არ არისო.



### ერთი კონა წერილები.

(ინგლისურადან)



ერთ დილას აღდგ გააღვიძეს სახელ-განთქმუ-  
ლი ექიმი ავითმყოფის მისაღებათ. მოსულმა  
კაცმა მოსამსახურე შეუგზავნა: „თუ შენი-  
ლება, საქართ მნახეთ, ნუ დამავიანებთ, თქვენი  
ნახვა ძლიერ საქორაოა“. ექიმი საქართთ ადგა,  
ტანისამოსი ჩაიცვა და შემოიხიზო ავითმყოფი ოთახ-  
ში სტუმარი ექიმის უცნობი აღმოჩდა. ვილაც ფერ-  
მისდილი და შეწუხებული კაცი იყო. მარჯვენა ხე-  
ლი გულზე ეკიდა. მძიმე სულთქმავ ეტუბოდა,  
რომ სატყვიარი სტანჯავდა, თუმცა არ იჩნევედა კი.  
სახით პატივსაცემ პირს ჰკვავდა.

— ექიმი კ. თქვენა ბძანდებით?—მისუტებულის  
ხმით ჰკითხა ავითმყოფმა.

— დიახ, ეს ჩემი გვარი გახლავს.  
— რადგან მე სოფელში ეტუბარებ, არა მაქვს  
პატივი თქვენის პირადათ ცნობისა. გამეგონა მხო-  
ლოთ თქვენი გვარი, არც ახლა მოესულვარ თქვენს  
გასაცნობათ, ჩემი მოსულა თქვენთვის ევრაფერი სა-  
სიამოვნო იქნება.

— კარგი. თქვენ სუსტათა ხართ, დაბძანდით და  
მიამბეთ, რა გნებავთ.

— ჩემი მწუარება აუტანელია. ერთი კვირაა  
ძილი რა არის არ ვიცი. მარჯვენა ხელზე რალაც გა-  
მიჩნდა და მტანჯავს. პირველათ უფრო სუსტი ტვი-  
რელები მქონდა, მაგრამ რაც დრო ხანისა, მით უფ-  
რო მიტულობის ტკივილი. დიდი ნაღის ვითმენ, ბო-  
ლოს მოთმინებაც დევკარებ და ეს არის მოვედი  
თქვენთან. გთხოვთ ამოსტრათ ის მტკიანი ადგილი.  
ერთი საათი თუ კიდევ გაგძელდა ეს ტანჯვა, სწო-  
რეთ გეგვიტვებდი.

ექიმი ცდილობდა, რამე მალამოზე დაეთანხმე-  
ბინა ავითმყოფი, მაგრამ ევრაფერი გააწყო.

— არა, არა!—მიუფო ავადმყოფმა.— ევრაფერი  
მალამო ვერ მიშველის დანის მეტი. გთხოვთ ამოს-  
ტრათ ის ადგილი, რომელიც ასე მტანჯავს.

— კარგი, მიიწვენთ ხელი.  
ავადმყოფმა ჩამოიღო ხელი და ფრთხილათ შე-  
მოიხსნა სახვევი. ტკივილისაგან კბილებს აკრატუ-  
ნებდა.

— იქნება ფიქრობთ, რომ სისუსტის გამო ვერ  
ავიტან ოპერაციას. ნუ სწუხართ. ამას ადვილათ  
გაუძლვებ.

ექიმი გაოცებული იდგა და დასცქეროდა ხელს,  
რომელსაც არავითარი ზადი, არავითარი განაფუჰაწიცი  
კი არსად ემჩნეოდა. ისეთივე ხელი ჰქონდა, რო-

გორც ყველა მრთელ კაცსა აქვს. მას გაუყვირდა და გაუშვა ავათმოყოფის ხელი.

ავათმოყვმა მწუხარე ხმით შეპყვირა და მარცხენა ხელი თავის მტკივან ხელს მოუჭირა. ამით შეატყობინა ექიმს, რომ ხელი ნამდვილათ ტკიოდა და არ იკანებდა.

— აბა მიჩვენეთ, რა ადგილას გრძობთ ტკივილს. — დაეკითხა ექიმი.

— აი აქა. — მიუგო ავადმოყოფმა და ანიშნა თითო ხელის გულზე ორი მოდიდო ძარღვი. ექიმი რომ თითით იმ ადგილს შეეხო, ავადმოყოფს ჭრუნულმა დაუარა მთელ სხეულში.

— ეს არის ის ადგილი, რომელიც მეწყის. ოხ, ღმერთო, რა ნაირათ მტკიცია!

— როცა თითს ეჭყურ, მაშინ უფრო გრძობთ ტკივილს? — დაეკითხა ექიმი.

ავათმოყოფს პასუხის ნაცლათ ტკივილებისაგან თვალეზი ცრემლით აფესო.

— საკვირველია. აქ მე ვერაფერ სატკივარს ვერ ვხედავ, თქვა ექიმმა.

— ეგრეც მე! — თქვა ავათმოყოფმა. — მაგრამ რასაც ამ ადგილზე ვხედავ, იმდენათ სახარელი რაა არის, რომ მზათა ვარ კედელს შევხებოქო, თავი.

ექიმმა აიღო გამადიდებელი შუშა და ხელს ბეჯითათ დაუწყო შინჯვა.

ბოლოს ისე გავკვირებით გადაქნია თავი.

— არაფერია, სისხლი რიციანათ მუშაობს, არც ანთება, არც სიმსიენე არსად ჩანს, ხელი სრულეზით საღი და მრთელია.

— მგონი, აი აქ, ამ ადგილზე უფრო აწითლებული უნდა იყოს. — უთხრა ავათმოყოფმა.

— სადა?

ავათმოყოფმა ამოიღო ჯიბიდან კარანდაში და შემოხაზა რველათ პატარა ადგილი ხელის გულზე.

ექიმი დაატკერდა ავათმოყოფის სახეს და კიქინება შეშლილიოა<sup>44</sup>. — ფიქრობდა.

— აღარბთ ჩემთან ორსამი დღეს და მოეპარჩენთ. — უთხრა ექიმმა.

— მოცდა არ შემიძლია. არ იფიქროთ, ვითომ მე გიყო ან შეშლილი ვიყო, საამისო არაფერი მკიერს. ის ადგილი, რომელიც კარანდაშით შემოცაზზე, ჩემი ტანჯვის მიზეზია, თქვენთან კი იმიტომ მოველ, რომ ეს ადგილი ამოჭრათ და გადამარჩინოთ.

— არ შემიძლია.

— რისთვის?

— იმისთვის, რომ თქვენ ხელზე, ისე როგორც ჩემსაზე, არავითარი სენი, არავითარი ზალი არა ჩანს.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქო მე შეშლილი ვიყო ან გვხუმრებოდეთ. — თქვა ავათმოყოფმა,

ამოიღო ჯიბიდან ათასი მანეთი და დადო მაკიდ ფულს ხომ უზბალოთ არ გადაეყრი, ხომ ხელად რომ მე არ გვხუმრებთ. მიხვდით, რომ ამას ექიმობა უნდა. გთხოვთ მოამაშოროთ ეს ადგილი ხელიდან.

— კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ რაც უნდა სასყიდელი მომცეთ, იმ ადგილის ამოჭრა კი არა, იმის თქმაც არ შეგიძლია, რომ ეს წამნდარი იყოს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ სახელი გამიფუტდება. მეტყვიან, თქვენ ან შეშლილი ყოფილხართ, ან არა და თქვენი საქმისა არაფერი გაეგებათო.

— კარგი. მაშ მე თვითონ ამოეჭრი ამ ადგილს. იქნება მარცხენა ხელით კარგათ ვერ მოვახერხო, მაგრამ არაფერია: თქვენ მხოლოთ ამას გთხოვთ, რომ ამოჭრის შემდეგ შემიხვიოთ ხელი.

ექიმი გოაცხული შეცქერდა ავადმოყოფს, რადგან ხედავდა, რომ ეს კაცი გულით ლაპარაკობდა და ხუმრობა ფიქრათაც არ მოსვლია.

ავადმოყოფმა გაიხადა ტანისამოსი, გადაიკაპიწა პერანგის სახელო, აიღო მარცხენა ხელით დანა და იმ წამსვე ხორცში ჩაიჭრა.

— მოიბინეთ, — მიძახა ექიმმა, შეშინებულმა, ავათმოყოფმა სიქპრით ხელი არ გაიფუტოსო. — რადგან ამოჭრა გადავიწყებოდათ და სხვა საშველი არ არის, მიზოძეთ აქ იარაღი, მე თვითონ ამოეჭრი.

მან გამოართვა ავათმოყოფს დანა და უთხრა: პირი იქით მიიბრუნეთ, რომ სისხლის დანახვამ არ შეგაწუხოსო.

— საჭირო არ გახლავთ, — მიუგო სწეულმა, — მე თვითონ უნდა გასწავლოთ, რა ადგილია ამოსაჭრელი.

ექიმი რომ თავის საქმეს ასრულებდა, ის უყურებდა და ასწავლიდა სად რა უნდა ექნა. არავითარი ზიზილი, არავითარი მწუხარება არ ეჩვენებოდა.

ამოიღეს თუ არა მტკივანი ალაგო, ავათმოყოფს სახე გაუზარებინდა. ისეთი საამოვნება იჭრინო, თითქო საშინაური სიზმარი ენახა, გამოლევიებოდა და ხედავდა, რომ ეს სიზმარი იყო და არა ცხადი.

— კიდევ გრძობთ ტკივილს?

— ყველაფერი გაჭრა, — მხიარულათ მიუგო ავათმოყოფმა. ჩემი სატკივარი იმ პაწია ხორცის ნაჭერს გაყევა თან. ის ტკივილი, რომელსაც სისხლის დენის გამო ვგრძობა, წინანდელ სატკივართან შედირებთ, ისეთი სასამოვნოა როგორც პაპანაქება სიქეში გრილი ნიაგი. დეე იდინოს სისხლმა, მე ეს მასამოვნებს.

ბოლოს ექიმმა სისხლის დენა შეუყენა და ხელი შეუხვია.

მას შემდეგ ავთოყოფი სრულებით გამოიკვა-  
მწუხარება და ნაღლის ნაცლათ სახეზე კვაყო-  
კილება და მხიარულება ეხატებოდა. ფერი მოუვი-  
და. შემკუხენილი წარბები გაუსწორდა, ერთი სიტ-  
ყით სიცოცხლე დაეტყო. ხელი გულზე დაიკიდა და  
უთხრა ექიმს:

— სულითა და გულით გმადლობთ. თქვენ გა-  
დამარჩინეთ მე და აი პატარა ჯილდო, ვთხოვეთ მი-  
იღოთ სამაგიეროთ; რა არის ეს იმასთან, რაც თქვენ  
მიყავით. მთელ ჩემს სიცოცხლეში თქვენი მოვალე  
დავჩემი და ეველები გადავიხადო.

ექიმმა ფულის მიღებაზე უარი განაცხადა. ავთ-  
მყოფმა თავის მხრით აღარ დაიბრუნა ფული, მაგ-  
რამ, ექიმს წყენა რომ შეამჩნია, უთხრა: „შეგიძლიათ  
ფული რომელსავე საავთმყოფოს შესწიროთო?“ —  
გვიდა გარეთ. ავთმყოფი რამდენსავე დღეს კიდევ  
დადიოდა ექიმთან მტკიანი ხელის საწვენებლათ, სა-  
ნამ სრულებით არ მოუჩრა. ამ ხანებში ექიმი კარ-  
გათ გაეცნო ამ კაცს. შეიტყო, რომ ის იყო ძლიერ  
ნასწავლი, განათლებული, მდიდარი და კარგი მამუ-  
ლის შექმნე კაცი. ამასთან, ხელს გარდა, ყველაფ-  
რით ჯანმრთელი ადამიანიც იყო.

განკურნებული ავთმყოფი თავის სოფელში  
დაბრუნდა.

სამ კვირას უკან ის ისევ ეწვია ექიმს, ხელი  
ისევ ისე ეკიდა გულზე, ისეთი მოქანცული სახე  
ჭკონდა, რომ ექიმმა ძლიერ იცნო. საბრალოს ფეხზე  
დგომა უჭირდა. შემოსვლისათანავე უღონოთ სავარ-  
ძელზე დაეშვა და მწარეთ ამოიკენესა.

— რა ამბავია? რა დავემართათ? გაკვირებით  
დაეკითხა ექიმი.

— ალბათ საკმაოთ ღრმათ არ ამოგვიჩრიათ მტკი-  
ნანი ადგილი, ახლა კიდევ უფრო მწარეთ მტანჯავს.

— მიუგო ავთმყოფმა დასუსტებული ხმით. — ხე-  
დაეთ, სულ დავიღიე, — განაგრძო მან, — ხელ მეო-  
რეთ თქვენი შეწუხება არ მინდოდა და ვითმინე იმ  
იმედით, რომ ვერ ავიტან და მოერჩები ტანჯვასა  
თქო, მაგრამ ამაოთ. ჩემი ტანჯვა-წამება აუწერელია.  
ამას უთუოთ ჩემი სახეც გიმტკიცებსთ.

ამ ლაპარაკში ავთმყოფს ცივმა მწუხარების  
ოფლმა დაასხა შუბლზე.

ექიმმა შემოსხნა სახევეი. ხელი კარგათ მორ-

ჩენოდა, ახალი კანი გადაჰკეროდა და სხვა არაფერი  
ეტყობოდა. მაჯა ძლიერ ჩქარა უცემდა და ნერე-  
ვი დასუსტებოდა.

— საოცარია! — წარმოთქვა ექიმმა. — რაც უფრო  
ეუფიერდება, უფრო და უფრო მაოცებს და ვერა  
გამიგიარა ამ სენისა.

— ოხ! საშინელებო რამ სენია! მიზეზს ნუ მკი-  
თხავთ. თუ შეგიძლიათ, დამიხსენით ამ წლისაგან:  
ამოსჭერთ ეს ადგილი უფრო ღრმათა და თორთოთ.  
სხვა არაფერი საშუალება არ შეიძლება. — ექიმებო-  
და ავთმყოფი.

ექიმი ძალა-უნებურათ უნდა დამორჩილებოდა.  
გაუყვთა ხელ-ახლათ ოპერაცია, უფრო ღრმათა და  
ფართოთ. ავთმყოფის სახეს უცნაური ცელოლება  
დაეტყო, როცა ჭრილობიდან სისხლმა დენა იწყო;  
ფერი მოუვიდა, სიცოცხლე მოემეტა, მაგრამ მხიარ-  
ულება კი არ ეტყობოდა.

— გმადლობთ, ექიმო, — უთხრა მან მოწყენით,  
— სატკივარი ერთხელ კიდევ მომაშორეთ; რამდენ-  
სავე დღეს შემდეგ ჭრილობა მომიჩრება, მაგრამ ნუ  
გაკვირდებით კი, თუ ერთი თვის განმავლობაში  
ისევ თქვენთან მინახავთ.

— ეცადეთ, თქვენი ფიქრებისაგან გათავისუფლ-  
დეთ. დაივიტა ექიმმა.

ეს შემთხვევა ექიმმა ზოგირით თავის ამხანა-  
გებს უამბო. ვერც ერთმა ვერ ახსნა, რა იყო ასეთი  
სენის მიზეზი.

ინგლისელი ქალი მეზღ.

(შემდეგი აქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელისა

ტიბლის ექიმი

# ვ. ი. ტიქინაძე

ნიკოლოლოზის ქუჩა, № 21, სახლი, ე.  
საგინოვისა, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.